

სერგი ლორთქიფანიძე
Sergy Lordkipanidze
Сергий Лордкипанидзе

რელიგია და სამართალი ტერორიზმის წინააღმდეგ და
ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ბიზნესისათვის

The Religion and Law Against Terrorism and for
Mutually Beneficial International Business

Религия и право против терроризма и
для взаимовыгодного международного бизнеса

თბილისი
2016

შრომა წარმოადგენს წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას და განკუთვნილია სამართალმცოდნეობის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მომზადდა და გამოიცა ავტორის ხარჯებით.

ISBN 978-9941-0-8454-6 (PDF)

რელიგია და სამართალი ტერორიზმის წინააღმდეგ და ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ბიზნესისათვის

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის ეპოქამ, მოჩვენებითიდან, სულ უფრო მეტად რეალურ სიმაღლეზე აიყვანა რელიგიური თავისუფლებისა და, აღნიშნულის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა დაცვის საქმე ყოფილი ათეისტური უტოპიური კომუნიზმის ქვეყნებშიც. შესაბამისად, თანამედროვე საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიორთობათა განმსაზღვრელი ფაქტორები სულ უფრო მეტად ხდება ცივილური კანონმდებლობა, საკუთრების უფლების დაცულობა, განსხვავებულ რელიგიურ შეხედულობათა არამტრულად მოსმენის კულტურა, დაწყებითი და უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფა, ისტორიისა და ეროვნულ თავისებურებათა დაფასება და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად (გამოყენებული წყარო №1), ქართული სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას, ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით და სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული საგანძურის მოვლა-პატრონობისათვის.

როგორც ცნობილია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხელმძღვანელობს დიდი სჯულის კანონითა (მ. შ. ნიკეას და კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებების კანონები) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებებით (გამოყენებული წყაროები №2 და 3). ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე, დაცულია სხვა აღმსარებლობათა მოქმედება და, შესაძლო ფარგლებში, გავრცელება და მართლმადიდებელი ეკლესია ყოველმხრივ უჭერს მხარს განსხვავებული რელიგიური მრწამსის ხალხთა შორის მეგობრობასა და დახახლოებას.

პირადად ჩემთვის, ძალზე ყურადსალებია საქართველოს პატრიარქის ილია მეორეს ქადაგებები, რომელიც ამ მიმართებით აღნიშნავს, რომ დღევანდელი მასოპრივი ინფორმაციის საშუალებები და კომპიუტერი (ინტერნეტი) “ახალ ნოუიერ ნიადაგს ქმნიან მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისათვის” (გამოყენებული წყარო №4, გვ. 34). მაშასადამე, როგორც პატრიარქი გვასწავლის, გლობალიზაციას არ უნდა შეუუშინდეთ და იგი ყოველმა ქვეყანამ სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. საერთაშორისო და ეროვნულმა კანონმდებლობებმა კი ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში უნდა შეუწყოს ხელი.

როგორც თანამედროვე მოწინავე საერთაშორისო შეფასებები გვარწმუნებს, ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სამაგალითოდ ამოქმედდა ომბუდსმენის

ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, რელიგიის თავისუფლების დამცველადაც გვევლინება.

ჩვენი თაობის ყოველდღიურ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი აქტიურად მოღვაწეობს ყველა მოზარდისა და ახალგაზრდის განათლების (მ.შ. რელიგიური მსოფლმხედველობის ფორმირების) ხელმისაწვდომობის საქმეში, აღსაზრდელებში ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და მეტად სწრაფი რეაგირებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზარდთა უფლებების საჭირო ოპერატიული მონიტორინგის საფუძველზე, დროული საკანონმდებლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად და ჯერ კიდევ საქმაოდ არსებული საჯელადსრულებისა და გენდერული პრობლემების მოსაგარებლად (გამოყენებული წყაროები №5, 6).

ყოველივე ზემოაღნიშნულს, ჩემი აზრით, უმთავრესად რელიგიური წინაპირობები და საფუძველი გააჩნია. უფალი ადამიანის შემოქმედი და ადამიანის უფლებათა უზნაესი დამცველია. ყოვლადმოწყალე უფალთან ერთად, გარკვეული ფუნქციით მოვლენილი ადამიანიც უნდა ეცადოს საკუთარი თავის ყოველმხრივ და სრულყოფილად დაცვას. ცოდვილი ადამიანის ცხოვრებისულ წინააღმდეგობათა არსებობის ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ისე უნდა მოაწყოს მოაზროვნე სამართალმცოდნებ, რომ ყოველმა ადამიანმა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების პროცესში უსაფრთხოდ და არხეინად იგრძნოს თავი, მ.შ. რელიგიური თავისუფლების ასპექტში.

სასიხარულოდ ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა და, მაშასადამე, ჩვენი ეროვნული მიდგომები სამყაროს შემცირების შესახებ, ჩვენს წელთაღიცხამდე თითქმის ათასი წლით ადრე იღებს სათავეს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო – კოლხეთის სამეფო გაჩნდა. რელიგიურ და ეთნიკურ უფლებებზე გარე ფაქტორებით ხელყოფის სამაგალითოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომებს შორის გაჩაღებული ომების შედეგად, დამპყრობთაგან უკეთ დაცვის ინსტიტითა და მიზნით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში ე.წ. ქართლის სამეფო, ანუ, როგორც მას სხვადასხვა წყაროებით უწოდებენ – ივერია და კავკასიური იბერია ჩნდება, რომლის დედაქალაქად მცხეთა მოიხსენება, ხოლო პირველ მეფედ – ფარნავაზ I, რომელსაც პირველი ქართული დამწერლობის შემქმნელადაც ვაღიარებთ, როცა შეიქმნა ხელნაწერით განმტკიცებული ქართული კანონმდებლობის პირველი საწყისებიც.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია და საზგანმით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში (327 წელი), მირიან III-ის მეფობის დროს, ქართლის (ივერიის) სახელმწიფო რელიგიად ცხადდება ქრისტიანობა, შესაბამისად, დასაბამი ეძღვავა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ქრისტიანულ ტრადიციებს.

როგორც ცნობილია, 1204 წელს კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, საქართველო ითვლებოდა უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, როცა თამარ მეფის

ტიტული იკითხებოდა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შირვანის შაპინშაპთა. სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი” – ადამიანთა მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ მსოფლიო ლიტერატურის უკვდავი ქმნილება. კერ კიდევ “ვეფხისტყაოსანში”, მოცემულია სამართლის კანონებით ადამიანის თავისუფლებათა ქართული ხედვის უნიკალური ფრაგმენტები, რომლებიც ვახტანგ VI-მ განაზოგადა და მე-18 საუკუნის დასაწყისში კანონთა კრებულის სახით გამოსცა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების განვითარებას.

ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებზე განმსაზღვრული გავლენა იქონია 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ (1921 წ.), 1991 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესების გაღრმავების შედეგად აღმოცენებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციამ (1995 წ.) და, დემოკრატიზაციის შედეგად, უფლებათა ცივილური დაცვის დასავლურ კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მნიშვნელოვანმა გააქტიურებამ. გამომდინარე, კანონმდებლობა, ცალკეული სამართლებრივი ნორმების საშუალებით, უფრო სრულყოფილად არგულირებს (აწესებს) ადამიანების ურთიერთობებს, მათ შორის, უმთავრესად, ადამიანის თავისუფლებების, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით (გამოყენებული წყარო №7, გვ. 2). ადამიანების მოწესრიგებული თანამშრომლობის განვითარების თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოც, რომელიც წარმოადგენს კოლექტიური მოშსახურების ახალგაზრდა მოწესრიგებულ ინსტიტუტს (სისტემას, სტრუქტურას, მექანიზმს), მათ შორის მეტი რელიგიური თავისუფლების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სრულყოფილი ენერგეტიკული ბაზის, უკეთესი გზების, მაღალი ხარისხის განათლებისა და თანამედროვე საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის არსებობისათვის.

ჩემი აზრით, ბევრი კანონისა თუ წიგნის წაკითხვა არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ჭეშმარიტი ცოდნა მიიღო (გამოყენებული წყარო №8, გვ. 16-17) და კანონმორჩილი გახდა. ადამიანები ხშირად ხედავენ მრავალ სასწაულს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ მათ. ჭეშმარიტი ცოდნა და შესაბამისად აღმოცენებული ადამიანის თავისუფლებათა დაცვის სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა მხოლოდ უფლის უდიდეს რწმენასა და მორჩილებას ახლავს. ამასთანავე, როგორც მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადამიანის დამმონებელი ფაშისტური ურჩხულის დამარცხება მხოლოდ ქვეყნების გაერთიანებული ძალისხმეულით მოხერხდა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა და ტერიტორიულად ცირე საქართველომაც, რომელმაც პროცენტულად მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა ფაშიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში.

ტექნიკის, მსოფლიო ბაზრისა და ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების განვითარებამ მსოფლიო ერთიან დიდ ოჯახად გადაქცია (გამოყენებული წყაროები №9-12). თუმცა, გლობალიზაციას, დადებით მსარებლით ერთად, ძალიან ბევრი პრობლემა ახლავს, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმით (რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელი რელიგიური ფანატიზმით

საზრდოობს) ადამიანის უფლებათა ხელყოფა ყველა დროის უმძიმესი სენი გახდა. პატარა საქართველო, გლობალური ტერორიზმისაგან ადამიანის დაცის საქმეშიც, თავის გმირულ მაგალითებს იძლევა. ძალზე მახარებს, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდობა სულ უფრო თამამად და მასობრივად იღებს მონაწილეობას ანტიტერორისტულ კოალიციაში, რომელიც ერაყში, საუდის არაბეთში, ავღანეთისა და სხვა ქვეყნების ანტისაკაცობრიო და ანტიქრისტიანული ტერორიზმის კერების აღმოჩენისა და ჩაქრობის პროცესებს აძლიერებდა და აძლიერებს.

გონივრული სამართლებრივი მექანიზმებით დამყარებული მშვიდობა, ბუნებრივია, პრიოროულებულად უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდა თაობის ნიჭიერთა გაცვლითი ურთიერთხელსაყრელი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ბიზნესის (მ.შ. სულ უფრო ფეხმოკოდებული უფექტიანი ფრენშაიზინგის) მექანიზმების ასამოქმედებლად. თავის მხრივ, ეფექტიანი ბიზნესი ამცირებს სამართლებრივი დავების ალბათობას სამეწარმეო სუბიექტებს შორის და რეგიონალურ კონფლიქტებშიც კი.

სამართლებრივი მექანიზმები ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი წესრიგისა და კეთილდღეობისათვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ეკონომიკის ფუნდამენტალური მნიშვნელობაც და რომ მასშტაბურად აშშ-ში ინიცირებული ინტერნეტის გლობალური ქსელი და მანქანური რევოლუცია ინგლისში, მსოფლიო ბაზრის სრულყოფილი კონტურების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები წინაპირობებია და სწორედ ეს კომპიუტერულ-მანქანური ინდუსტრიაა დეველი მთავარი ფაქტორი მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და ადამიანების უსაფრთხო ცხოვრების დონის არსებითი ამაღლებისათვის, რასაც წარმატებული ქვეყნები გონივრულად იყენებენ არამსოდოდ ამერიკასა და ევროპაში.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ო წ ყ ა რ ო ე ბ ი

- კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002 წლის 14 ოქტომბერი).**
- დიდი სკულის კანონი (ნიკეას 1-ლი მსოფლიო კრების, კონსტანტინეპოლის მე-2 მსოფლიო კრებისა და ნიკეას მე-7 მსოფლიო კრების კანონები).
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებანი (2009 წლის 30 აპრილი და 22 დეკემბერი).
- საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 2004.

5. საქართველოს პარლამენტის, უზენაესი სასამართლოსა და სახალხო დამცველის არქივები.
6. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, ობუდსმენის საპარლამენტო ანგარიშები, <http://www.ombudsman.ge/index.php?page=21&lang=0>
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=3&lang=0>
7. შესავალი სამართალში (ლექციების კურსი). – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილა ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკით ფონდები.
8. ლორთქიფანიძე სერგი, რა ცოდნაა ჭეშმარიტი, ვინ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად განათლებული და რა მნიშვნელობა აქვს რელიგიასა და სამართალს გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლისა და ტექნიკური პროგრესისათვის. – მართლმადიდებლური ჟურნალი “ქაროზი”, 2006 წელი, №5 (42), გვერდები 16-17.
9. მაგსტრადტი თომას მ, გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და საკითხები. – თბილისი, ილაუნი, 2008.
10. ლორთქიფანიძე რევაზ, ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. – თბილისი, ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს კურთხევით, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა “ივერიელი”, 2013.
11. მსოფლიო ციფრებში. – თბილისი, სიახლე, 2000.
12. Political Science Quarterly. – New York, Vol. 124, Number 2, 2009.
13. Andrew B. Abel, Ben S. Bernanke, Dean Croushore, Macroeconomics, Student Value Edition (8th Edition), 2014.
14. Management, by S. Robbins and M. Coulter, 12th edition, Prentice Hall, 2014
15. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი.
16. ელექტრონული კატალოგი www.tbuniver.edu.ge/obiblio

ავტორის შესახებ



Education: ასრულებს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კურსს სამართალმცოდნეობაში (მისაღებ გამოცდებზე მიღებული აქვს სახელმწიფო გრანტი); ჩააბარა ახალგაზრდა მეცნიერთა უნივერსიტეტის “მცირე აკადემია” იურიდიული ფაკულტეტის საწყისი კურსები; 2007 წელს დაამთავრა თბილისის №1 საჯარო სკოლა (შესაბამისი სრული ზოგადი განათლების ატესტატით №079109).

Diplomas : დიპლომი UNDP ეგიდით საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გამართული სტუდენტური ნაშრომების კონკურსში მონაწილეობისათვის.

Scholarships: არის სხვადასხვა (ზოგადად სწავლაში, მათემატიკაში, სპორტში) ქების ფურცლის, სიგელის, დიპლომისა და სერთიფიკატის მფლობელი, მ.შ. მოსწავლეთა საერთაშორისო და რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონკურსებში წარმატებებისათვის, “Norwegian refugee council” on prevention of HIV/AIDS/DRUG ADDICTION, 2007, იყო ევროპის სტუდენტთა ფორუმის წევრი, გაიარა სტაურუება საქართველოს შეს სისტემაში.

PROFESSIONAL EXPERIENCE : მართლმადიდებლურ ჟურნალ „ქაროზში“ გამოქვეყნებულია სერგი ლორთქიფანიძის შრომა „რა ცოდნაა ჭეშმარიტი, ვინ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად განათლებული და რა მნიშვნელობა აქვს რელიგიასა და სამართალს გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლისა და ტექნიკური პროგრესისათვის“, 2006 წელი, №5 (42), გვერდები 16-17; კვლევის ნაწილი შესულია წმინდა ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) შესახებ საიუბილეო გამოცემაში; სერგი ლორთქიფანიძის 2011 წლის 26 დეკემბრის პუბლიკაცია www.education.ge-ს სამართლის გვერდზე <http://education.ge/index.php?do=definition%2Fview&id=1337>; ინტერვიუ სერგი ლორთქიფანიძესთან ჟურნალ „ანიმაში“ (2012, N3); არის წიგნის „ნოვატორული არაორდინარული მენეჯმენტი და მარკეტინგი უახლოესი სტრატეგიისათვის“ თანავტორი (თბილისი, 2014, ISBN 978-9941-0-6302-2, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29381>).

LANGUAGE ქართული, ინგლისური, რუსული.

COMPUTER SKILLS: Microsoft Word, Internet.